

საღვთო ლიტურგიის შუა გულში - უმაღლესი საიდუმლო ზიარებისა

(31.10.2021)

წინა ქადაგებაში ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ მორწმუნე საღვთო ზიარების საიდუმლოების დროს უფლის წმინდა ხორცთან და სისხლთან ზიარებისას უერთდება აღმდგარი ქრისტეს და ამ გზით სრულდება უფლის სიტყვა: „რომელი ჭამდეს ხორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემთანა დადგრომილ არს, და მე მის თანა (ინ. 6:56). უკეთ რომ გავიგოთ საღვთო ევქარისტის საიდუმლოების უდიდესი მაშტაბი აუცილებელია განვიხილოთ:

რატომ ჰქვია საღვთო ევქარისტიას (ან მაღლიერებას) ასე?

როგორც წერენ წმინდა მოციქულები, საიდუმლო სერობის დროს იესომ აიღო პური, ილოცა, გატეხა და ნაჭრები დაურიგა თავის მოსწავლეებს სიტყვებით: „მიიღეთ და ჭამეთ: ესე არს ხორცი ჩემი.“ შემდეგ მან აიღო თასი და წარმოთქვა სამადლობელი ლოცვა, მისცა მათ სიტყვებით: „სუთ ამისგან ყოველთა: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმულისა მრავალთათვის დათხეული მისატევებლად ცოდვათა“ (მათე 26:26-28). ამ სიტყვებს, როგორც გვესმის, იმეორებს მღვდელმსახური ყოველი საღვთო ლიტურგიისას. რამდენადაც იესომ ჯერ სამადლობელი ლოცვა წარმოსთქვა (ამასვე აკეთებს მღვდელი, როდესაც იწყება დიდი ლოცვა ამაღლებისა ან ანაფორისა), საიდუმლო იწოდება „საღვთო მაღლიერებად“, რაც ბერძნულ ენაზე ახალ აღთქმაში ისმის როგორც „ევქარისტია“.

თუმცა მიზეზი მართლ ამაში არაა. ყველა საღვთო ლიტურგიის საიდუმლოებები წარმოადგენს ღმრთისადმი მაღლიერებას, მსხვერპლშეწირვა და მორწმუნეების მაღლიერება და მთელი ეკლესიისა კაცთმოყვარე ღმრთის მიმართ მისი ურიცხვი წყალობისათვის - ხილული თუ უხილავი - რომელიც მან ჩვენ გვიბოძა და აგრძელებს წყალობის მოცემას. ყველაფერ ამას, გარდა სხვა რამისა, ჩვენ აღვიქვავთ და სამადლობელი ლოცვით, რომელსაც ადავლენს ღვთისმსახური დიდი გამოსვლის შემდეგ წმინდა ძღვენით და წმინდა ნაწილები ფეშხუმზე პურითა და ბარძიძში ღვინით წმინდა ტრაპეზზე დაბრძანებით. მღვდელი ლოცულობს: „უფალო, ყოვლისმპყრობელო,... გაგვხადე ღირსი შემოგწიროთ შენ მაღლობა და სულიერი მსხვერპლი... გაგვხადე ღირსი წყალობის მოპოვებისა შენს წინაშე, რათა ჩვენი მსხვერპლი შენთვის სასურველი იყოს და სული წმინდა შენი მაღლიერებისა გადმოვიდეს ჩვენზე, და ამ ძღვენზე მთელს შენს ხალხზე“.

უდიდესი მომენტი წმინდა ძღვენის შეწირვისა ახლოვდება, როცა მღვდელმსახური, აამაღლებს ჯვრის სახით წმინდა ფეშხუმს პურითა და წმინდა ბარძიძს ღვინით, წარმოთქვამს: „შენი შენთაგანი და შენდა შემწირველნი ყოველთა და ყოველთათვის“. ეს ნიშნავს: „უფალო ჩვენ გვინდა შემოგწიროთ მაღლიერების ძღვენი ურიცხვი წყალობისთვის, რომელიც შენ ჩვენ გვიბოძე და აგრძელებ წყალობის მოცემას. მაგრამ ჩვენი საკუთარი არაფერი არ გვაქვს. ამიტომ შენი შექმნილიდან ვიღებთ პურს და ღვინოს და შემოგწირავთ როგორც მაღლიერების ძღვენს

ყველაფრისათვის, რასაც ჩვენთვის აკეთებ, შექმნის დღიდან დღევანდელ დღემდე შენი მეუფების ყველა ადგილზე".

აქ საღვთო ევქარისტის საიდუმლოება აღწევს მწვერვალს! ღვთისმსახური, რომელიც მიმართავს მამა -ღმერთს, რათა მისი მეშვეობით სული წმინდა გადმოვიდეს და გადააქციოს „პური ესე ქრისტეს პატიოსან ხორცად, ხოლო ღვინო - წმინდა სისხლად" საიდუმლო სრულდება. ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელი სასწაული ხდება. პურის ქრისტეს ხორცად გადაქცევით სრულდება მსხვერპლშეწირვა. ამ გზით წმინდა ტრაპეზზე იმყოფება ჯვარზე გაკრული და აღმდგარი ქრისტე. თორმეტ მოციქულთან ერთად სიონის მთაზე ჩვენ ვმონაწილეობთ საღამოს ლოცვაში. და ეს ლოცვა არაფრით არ განსხვავდება იმისგან, რაც მოხდა დიდ ხუთშაბათს. წმინდა ტრაპეზი გახდა წმინდა მოწამედ, გოლგოთად. წმინდა ზიარებისას, როგორც გოლგოთაზე, ქრისტე მსხვერპლად ეწირება. ამიტომ წმინდა ზიარების საიდუმლოება ერთდროულად არის გოლგოთაზე შეწირული მსხვერპლის სახე.

საღვთო ევქარისტის დროს, ისევე როგორც გოლგოთაზე, ქრისტე მსხვერპლად ეწირება. გოლგოთის შემდეგ ჩვენ ვაღწევთ ადდგომას. საღვთო ევქარისტია - ეს უწყვეტი ადდგომაა ეკლესიისა, რომელსაც გვიმზადებს ჩვენ მომავალი ზეციური სასუფევლის სიხარულისთვის.

მოდით ცოტა მეტი ყურადღება დავუთმოთ ზიარების, როგორც მსხვერპლის მნიშვნელობას.

უპირველეს ყოვლისა ეს მნიშვნელობა გამომდინარეობს თავად უფლის მიერ დადგენილი სიტყვიდან, როდესაც იგი თავის მოსწავლეებს ასწავლიდა ამ საიდუმლოს: „სუთ ამისგანი ყოველთა: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისა, მრავალთათვის დათხეული მისატევებლად ცოდვათა (მათე 26:27-28). აქ უფალი ნათლად საუბრობს თავისი სისხლის მსხვერპლზე, რომელიც იღვრება, „ყველასთვის, მისატევებლად ცოდვათა". განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს ის, რომ უფალი, როდესაც საუბრობს მსხვერპლად შეწირვაზე (ჯერ კიდევ ჯვარზე გაკვრამდე) იყენებს ზიარებას „დათხეული" ახლანდელ - ხანგრძლივ გაგრძელებულ დროში. ის არ იყენებს მომავალ დროს და არ ამბობს: ეს არის ჩემი სისხლი, რომელიც „დაიღვრება"! რას ნიშნავს "ეს? ღვთივგანათლებული მამები ასე ხსნიან ამას: უფალმა დაღვარა პატიოსანი სისხლი ერთხელ გოლგოთაზე მთელი კაცობრიობის ცხოვრებასა და ხსნისათვის - ყველასთვის ვინც ცხოვრობდა ადამის დროიდან და ვინც იცხოვრებს მეორედ მოსვლამდე. მაგრამ ეს მსხვერპლი წარსულში არ დარჩა საღვთო ლიტურგიის დროს დრო: დღეები, წლები, საუკუნეები ჩერდება. ღმერთისთვის, როგორც ჩვენთვის ცნობილია, არ არსებობს აწმყო, წარსული და მომავალი. მის წინაშე ყველაფერი მუდმივი აწმყოა. ასეთივე გზით საღვთო ევქარისტის საიდუმლოს შესრულების დროს მოქმედებს „ლიტურგიული დრო, რომლის თანახმადაც ყველაფერი გარდაიქმნება აწმყოდ, ასე რომ თითოეულ ადამიანს ნებისმიერი ისტორიული ეპოქიდან აქვს შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა საიდუმლო მსვლელობაში 12 მოციქულთან ერთად იერუსალიმის სერობაში და იყოს კურთხეული. ღვთის დახმარებით გავაგრძელებთ ამ თემას შემდეგ კვირას.